8567

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП(б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
12 ნოემბერი
1941 წ.
№ 269 (6274)
ფასი 15 კაპ.

გავჟლიტოთ უკლებლივ ყველა გერმანელი ოკუპანტი!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავის დღეები სამუდამოდ დარჩება ჩვენი სამშობლოს ისტორიაში. ამ მრისხანე და სასტიკ დღეებში შავი ღრუბელი ჩამოაწვა ჩვენს სამშობლოს. მოსკოვიდან, რომლის კარებთანაც მტერი გაჩნდა, მთელ მსოფლიოში გაისმა დიდი სტალინის ხმა. იგი მოწოდების ზარით რაზმავს ხალხის ძალებს იმისათვის, რომ ანგარიში გაუსწორონ მძვინვარე დამპყრობს, რომელიც სძარცვავს ჩვენს ქვეყანას, ხოცავს მის მშვიდობიან მცხოვრებლებს, რომელმაც მონობის ბორკილი დაადო ჩვენს ძმებს. სტალინის ხმა არის იმედის ხმა მილიონობით ადამიანებისათვის, რომლებიც მოელიან იმას, რომ განთავისუფლებულ იქნან ჰიტლერული ტირანიისაგან, ფაშისტთა უღლისაგან, გერმანელ დამპყრობთა ჩაგვრისაგან.

ჰიტლერელთა პარტია, მსოფლიოს ყველა იმპერიალისტთა შორის უმეტესი მტაცებელი და ყაჩაღი იმპერიალისტების პარტია, მუხანათურად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს. აი უკვე 4 თვეზე მეტია, რაც სსრ კავშირის ხალხები დიდ სამამულო ომს ეწევიან გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ თავისი ღირსებისა და თავისუფლებისათვის, თავისი სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის, აწმყოსა და მომავლისათვის. მტერმა მოახერხა ხელთ ეგდო ჩვენი ქვეყნის ნაწილი. მილიონობით საბჭოთა ადამიანები გმინავენ ფაშისტთა უღელქვეშ მტრის მიერ დროებით დაპყრობილ ტერიტორიაზე. ფაშისტი ბანდიტები, რომლებმაც ადამიანური სახე დაჰკარგეს და დიდი ხანია უკვე დაეცნენ ველური მხეცების დონემდე, საყოველთაოდ გასაგონად მოუწოდებენ დიდი რუსი ერის მოსპობისაკენ, სლავი ხალხების გაჟლეტისაკენ. ამაზე საბჭოთა ხალხი დიდი სტალინის პირით უპასუხებს:

„გერმანელ დამპყრობთ სწადიათ გამანადგურებელი ომი ჰქონდეთ სსრ კავშირის ხალხებთან. რას იზამ, თუ გერმანელებს სწადიათ ჰქონდეთ გამანადგურებელი ომი, ისინი ამ ომს მიიღებენ.

ამიერიდან ჩვენი ამოცანა, სსრ კავშირის ხალხთა ამოცანა, ჩვენი არმიისა და ჩვენი ფლოტის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ამოცანა ის იქნება, რომ გავჟლიტოთ უკლებლივ ყველა გერმანელი, რომლებიც ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ, როგორც მისი ოკუპანტები. არავითარი დანდობა გერმანელ ოკუპანტებს!

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!“

გერმანელებს თავი მოაქვთ თავისი არმიით და შესთხზეს მისი უძლეველობის მითი. ეს მითი დაიმარხა აღმოსავლეთის ფრონტზე დახოცილ მილიონობით გერმანელ ჯარისკაცებთან და ოფიცრებთან ერთად, რომლებმაც სამარე ჰპოვეს აღმოსავლეთის ფრონტის ველებში. ჩვენმა არმიამ ათობით მოსპო გერმანელთა რჩეული დივიზიები.

„მტერი არც ისე ძლიერია, როგორც მას ზოგიერთი შეშინებული ინტელიგენტუნა გვიხატავს. ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც მას გვიხატავენ“. ჰიტლერს თავისი თავი ნაპოლეონი ჰგონია, ხოლო ავიწყდება, თუ რა ბედი ეწია ნაპოლეონს, რომელმაც თავისი არმია რუსეთის ველებში დაღუპა. ასეთივე ბოლო მოელის გერმანელ ყაჩაღ ოკუპანტებს.

იმპერიალისტური გერმანიის ზურგის მერყეობა ევროპაში, მისი ზურგის მერყეობა თვით გერმანიაში, სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლავრი ძალების გაერთიანება გერმანელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ, გერმანელ დამპყრობთა მორალური დეგრადაცია — ყოველივე ეს იწვევს ჰიტლერის ყაჩაღური იმპერიალიზმის გარდუვალ დაღუპვას, გარდუვალ განადგურებას.

„თუ ვიმსჯელებთ არა გერმანელ პროპაგანდისტთა ტრაბახა განცხადებების მიხედვით, არამედ გერმანიის ნამდვილი მდგომარეობის მიხედვით, ძნელი არ იქნება იმის გაგება, რომ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები კატასტროფის წინაშე დგანან. გერმანიაში ახლა გამეფებულია შიმშილი და სიღატაკე, 4 თვის ომის განმავლობაში გერმანიამ 4-ნახევარი მილიონი ჯარისკაცი დაჰკარგა. გერმანია სისხლისაგან იცლება. მისი ადამიანთა რეზერვები ილევა. აღშფოთების სულისკვეთება ეუფლება არა მარტო ევროპის ხალხებს, რომლებიც გერმანელ დამპყრობთა უღელქვეშ მოექცნენ, არამედ თვით გერმანელ ხალხსაც, რომელიც ომის დასასრულს ვერ ხედავს. გერმანელი დამპყრობლები უკანასკნელ ძალებს სძაბავენ. ეჭვი არ არის, რომ გერმანია დიდ ხანს ვერ გაუძლებს ასეთ დაძაბულობას. კიდევ რამდენიმე თვე, კიდევ ნახევარი წელიწადი, შეიძლება ერთი წელიც, და ჰიტლერის გერმანიას თავისი დანაშაულთა სიმძიმე გასრესს“. (სტალინი).

გერმანიის არმიის მდგომარეობა უარესდება, ჩვენი არმიის ძალები კი მატულობენ და კვლავ იმატებენ. სულ უფრო ამოქმედდნენ ჩვენი დაუშრეტელი რეზერვები და დღითიდღე გაიზრდება წარმოება იარაღისა და საომარი მასალისა, მათ შორის თვითმფრინავებისა, რაც ჯერჯერობით ჩვენ ნაკლები მოგვეპოვება, ვიდრე გერმანელებს, და განსაკუთრებით ტანკებისა, რომლებიც ჩვენ რამდენჯერმე ნაკლები გვაქვს, ვიდრე გერმანელებს.

ჩვენ ყოველნაირად გავადიდებთ ტანკსაწინააღმდეგო იარაღის წარმოებას და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რათა არარად ვაქციოთ გერმანელთა უპირატესობა ტანკების მხრივ. სულ უფრო და უფრო გაძლიერდება იარაღით და მასალებით დახმარება, რასაც ჩვენს ქვეყანას უწევენ დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები.

შორს არ არის ის დღე, როდესაც წითელი არმია გაამრავლებს თავის იერიშებს მტრის ურდოების წინააღმდეგ და გაჟლეტს გერმანელ ოკუპანტებს, რომლებიც ჩვენს სამშობლოში შემოიჭრნენ მის დასამონებლად. ამისთვის ჩვენი ხალხი არ დაზოგავს თავის ძალებს, იგი დღედაღამ დაუღალავად გამოსჭედს იარაღს, მიაწვდის ფრონტს ყველაფერს, რაც მას ესაჭიროება. მთელი ჩვენი ქვეყანა უნდა გადაიქცეს — და იგი გადაიქცევა კიდევაც! — „ერთიან ბრძოლის ბანაკად, რომელიც ჩვენს არმიასთან და ფლოტთან მხარდამხარ ეწევა დიდ განმათავისუფლებელ ომს ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის, გერმანიის არმიების გასანადგურებლად“.

ჩვენს წითელ არმიას წილად ხვდა დიადი განმათავისუფლებელი მისია. „ჰიტლერის გერმანიისაგან განსხვავებით,—აღნიშნავს ამხანაგი სტალინი,— საბჭოთა კავშირი და მისი მოკავშირენი განმათავისუფლებელ, სამართლიან ომს ეწევიან, რომელიც მიზნად ისახავს ევროპისა და სსრ კავშირის დამონებულ ხალხთა განთავისუფლებას ჰიტლერული ტირანიისაგან“.

ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნიდან დიდმა სტალინმა — სახელმწიფოს მეთაურმა, პარტიისა და ხალხთა ბელადმა, წითელი არმიის მხედართმთავარმა — საბჭოთა მხედრობას მოუწოდა იყოს ღირსი თავისი დიდი მისიისა. ხალხი რომ გზას ულოცავს თავის მეომრებს, რომლებიც სამშობლოსათვის იბრძვიან, ისე გაისმოდა ამხანაგ სტალინის გულშიჩამწვდომი, ბოლშევიკური მგზნებარებით აღსავსე სიტყვები, როცა იგი ლაპარაკობდა ჩვენს დიდ წინაპრებზე—ალექსანდრე ნეველზე, დიმიტრი დონსკოიზე, კოზმა მინინზე, დიმიტრი პოჟარსკიზე, ალექსანდრე სუვოროვზე, მიხეილ კუტუზოვზე, რომელთა მამაცურმა სახემ უნდა აღაფრთოვანოს ჩვენი მებრძოლები ამ ომში. სალაშქროდ საგმირო საქმეებისათვის მიმავალი მამაცი შვილების მამობრივი დალოცვა იყო დიდი სტალინის სიტყვები: „დაე გფარავდეთ თქვენ დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა!“

ჩვენი მეომრები ლენინ-სტალინის დროშით გმირულ წინააღმდეგობას უწევენ ფრონტის მთელ რიგ უბნებზე მტრის ჭარბ ძალებს და უმკლავდებიან გერმანიის გაწაფულ სამხედრო მანქანას. მრავლდება დიდი სამამულო ომის გმირთა რიცხვი — ჩვენი ქვეყანა მათ პატივს სცემს, აჯილდოებს სახელო წოდებებითა და ორდენებით. ჩვენი მებრძოლები, ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ დარაზმულნი, აკავებენ გამხეცებული მტრის გაafთრებულ შემოტევას. ჩვენი არმია, ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ დარაზმული, მშობლიური მოსკოვის გზაზე ელობება ჰიტლერელთა ურდოებს. საბჭოთა მეომრები თავისი ძალებისა და თავისი სიცოცხლის დაუზოგავად იბრძვიან და კვლავაც იბრძოლებენ ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის.

ჩვენ გვსურს თავისუფალი ადამიანების თავისუფალი ცხოვრებით ვიცხოვროთ თავისუფალ ქვეყანაში. ამისათვის უნდა გავჟლიტოთ უკლებლივ ყველა გერმანელი ოკუპანტი.

ჩვენ გვსურს გავათავისუფლოთ ჩვენი მამები და დედები, ძმები და დები ფაშისტთა მონობის უღლისაგან. ამისათვის უნდა გავჟლიტოთ უკლებლივ ყველა გერმანელი ოკუპანტი.

ჩვენ გვსურს დავეხმაროთ ევროპის ჩაგრულ ხალხებს ჰიტლერული ტირანიისაგან განთავისუფლებაში. ამისათვის უნდა გავჟლიტოთ უკლებლივ ყველა გერმანელი ოკუპანტი.

გავლენ წლები, დავიწყებას მიეცემა კაცობრიობისაგან დაწყევლილი სახელი ხალხთა ჯალათის ჰიტლერისა, ჭაკლნარით დაიფარება უთვალავ გერმანელ ყაჩაღთა სამარეები, მსოფლიო გაიწმინდება ფაშისტური სიბილწისაგან. მაგრამ საუკუნოდ უკვდავი იქნება ჩვენი ადამიანების სახელი. მომავალი მემატიანე ოქროს ასოებით ჩაწერს ისტორიის ფურცლებში სტალინური ეპოქის იმ გმირების სახელოვან საქმეთა ამბავს, რომლებმაც ხელი არ დაიკრიფეს თავით ფეხამდე შეიარაღებული მტრის წინაშე, რომლებმაც მუხლი არ მოიყარეს გერმანელი მჩაგვრელების წინაშე, რომლებმაც არ შეარცხვინეს თავიანთი სამშობლო ლაჩრობითა და ღალატით, რომლებიც არ შედრკნენ ბარბაროსთა პირსისხლიანი ურდოების წინაშე. მომავალ თაობებს შეშურდებათ ჩვენი, რუსთა მიწა-წყლის, უკრაინელთა მიწა-წყლის, ბელორუსთა მიწა-წყლის განმათავისუფლებლებისა, იმ მილიონობით ადამიანთა კეთილშობილი მხსნელებისა, რომლებიც მწუხარებაში ჩააგდეს და საწამებლად გასწირეს გერმანელმა მჩაგვრელებმა.

მაშ, წინ ჩვენი თავისუფლებისათვის, ჩვენი გამარჯვებისათვის!

წინ—გერმანელ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის, უკლებლივ ყველა გერმანელი ოკუპანტის გაჟლეტისათვის!

წინ—ჩვენი სამშობლოსათვის, ჩვენი სამართლიანი საქმისათვის, ამხანაგ სტალინის მეთაურობით! გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

„პრავდის“ მოწინავე, 10/XI.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

მ. ე. კატუკოვისათვის სატანკო ჯარების გენერალ-მაიორის წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს — მიენიჭოს ამხ. მიხეილ ეფთვიმეს-ძე კატუკოვს სატანკო ჯარების გენერალ-მაიორის წოდება.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ი. სტალინი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ი. ჩადაევი.

მოსკოვი, კრემლი. 1941 წლის 10 ნოემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სატანკო ჯარების გენერალ-მაიორის მ. ე. კატუკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე საბრძოლო დავალებათა სამაგალითოდ შესრულებისა და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი მიხეილ ეფთვიმეს-ძე კატუკოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

1941 წლის 10 ნოემბერი.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტროსა და საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს შორის თანამშრომლობის შესახებ

დღეს, 1941 წლის 10 ნოემბერს, სერ ვალტერ მონქტონმა და ამხ. ს. ა. ლოზოვსკიმ ქალაქ კუიბიშევში დაამთავრეს მოლაპარაკება; მოლაპარაკების დროს მათ გულახდილად განიხილეს საკითხები, რომლებიც დიდი ბრიტანეთის ინფორმაციის სამინისტროსა და საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს აინტერესებენ.

ამხ. ს. ა. ლოზოვსკიმ და სერ ვალტერ მონქტონმა დაადასტურეს თავიანთი მუშაობის მიზნებისა და საერთო ხაზის მიმართ შეხედულების სრული ერთიანობა და შეთანხმდნენ იმ ღონისძიებებზე, რომლებიც მიმართულია მომავალში უფრო მჭიდრო თანამშრომლობისაკენ. ინფორმაციისა და მასალების გაცვლა-გამოცვლით მათ შესძლეს დაუყოვნებლივ დაეწყოთ თანამშრომლობისაკენ მისწრაფების განხორციელება.

მოლაპარაკების დასასრულს სერ ვალტერ მონქტონმა მადლობა გამოსთქვა საბჭოთა მთავრობისა და, კერძოდ, ამხ. ვიშინსკისა და ლოზოვსკის მიმართ, რომლებმაც ესოდენ დიდი დრო დაუთმეს მას, მათი სტუმართმოყვარეობისა და იმ ღონისძიებებისათვის, რომლებიც მიღებული იყო მის მოგზაურობასთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც ისინი ასე ძლიერ იყვნენ დატვირთული სხვა საქმეებით.

მფრინავები პირნათლად ასრულებენ სტალინის დავალებას ოკუპანტების განადგურების შესახებ

მალოიაროსლავეცის მიმართულება, 10 ნოემბერი (საკდესი). საბჭოთა კავშირის გმირ ანტოშკინის საავიაციო ნაწილის მფრინავები, რომელნიც ამ მიმართულებით მოქმედებენ, უდიდეს ზარალს აყენებენ მტერს. ერთ თვეში — 8 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე — მათ მოსპეს 406 ტანკი, 42 ქვემეხი, 31 საზენიტო დანადგარი, 39 თვითმფრინავი, 1877 ავტომანქანა ქვეითი ჯარითა და საომარი მასალებითურთ, 47 ავტომანქანა საწვავი მასალითურთ, 777 საზიდარი, 2 ჯავშნიანი მანქანა, 11.300-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი და გაანადგურეს 8 გადასასვლელი. მარტო უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ამ საავიაციო ნაწილის მფრინავებმა მოსპეს 79 ტანკი, 230 ავტომანქანა ქვეითი ჯარითურთ და 1.200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, გაანადგურეს საგულდაგულოდ შენიღბული აეროდრომი.

გმირულად იბრძვიან ლეიტენანტი კაპრალოვი, მფრინავი ბურმა, კაპიტანი ცაცულინი, მსროლელი-რადისტი კოვტუნი და სხვები, რომელნიც ამასწინათ სსრ კავშირის ორდენებით დააჯილდოვეს. მაგალითად, ამხანაგმა კოვტუნმა მოკლე ხნის განმავლობაში მტრის 3 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხანაგი მ. მ. ლიტვინოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში, დანიშნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ.

გეგმის შესრულება

გუდაუთი (ტელეგრაფით). რაიონმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის 1941 წლის გეგმა 101,2 პროცენტით შეასრულა. მოკრეფილი ფოთლიდან პირველი ხარისხისაა 74 პროცენტი.

საქ. კ. პ. (ბ) გუდაუთის რაიკომის მდივანი
კოკაია

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

11 ნოემბრის დილის ცნობა

10 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლას ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე.

* * *

ფრონტის ტულის უბანზე მოქმედმა ჩვენმა ავიანაწილებმა 9 ნოემბერს მოსპეს და მწყობრიდან გამოიყვანეს გერმანელთა 21 ტანკი, 80 ავტომანქანა სამხედრო ტვირთითურთ, გაჰფანტეს და მოსპეს მტრის ერთ პოლკამდე მოტო-ქვეითი ჯარი.

* * *

ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ამხ. ხარიტონოვის ჯარის ნაწილებმა 2 დღის ბრძოლის განმავლობაში მოსპეს და მწყობრიდან გამოიყვანეს გერმანელთა 70 ტანკი, 200 ავტომანქანა ქვეითი ჯარითა და საომარი მასალითურთ, შტაბის 2 ავტობუსი, გაჰფანტეს და მოსპეს მტრის 2 ბატალიონი ქვეითი ჯარი.

* * *

ამხ. კოროტეევის მებრძოლებმა სამხრეთის ფრონტის ერთ უბანზე 8 ნოემბერს მოსპეს 750 იტალიელი ჯარისკაცი და დაჭრის შედეგად მწყობრიდან გამოყვანილია დაახლოებით 1.500 იტალიელი ჯარისკაცი.

* * *

უკანასკნელი დღეების განმავლობაში დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ჯარის ნაწილებმა ტყვედ წამოიყვანეს გერმანელ ჯარისკაცთა დიდი ჯგუფი. ტყვეების ჩვენება მოწმობს გერმანელ ჯარისკაცთა მორალური და ფიზიკური მდგომარეობის შემდგომ დაცემას. ყველა ტყვე ჯარისკაცს მოქანცული სახე აქვს. ყველა იმათ ჭუჭყიანი, თხელი და გაცვეთილი ტანსაცმელი აცვიათ, დატილიანებულნი და საშინლად ჭუჭყიანები არიან. თეთრეული მიწისფერ ნაფლეთებად ქცეულა.

487-ე ქვეითი პოლკის მე-3 ბატალიონის მე-12 ასეულის ეფრეიტორმა ბერნჰორტ ან-ლოსიიუსმა დაკითხვისას შემდეგი აჩვენა: „ჯარისკაცთა განწყობილება მეტად ცუდია. შიმშილი, უძილობა, დაღლილობა, ანტისანიტარია და უდიდესი დანაკლისი გერმანელ ჯარისკაცს თავისი სარდლობისა და ომის წარმატების რწმენას უკარგავს. აბანო უკვე დიდი ხანია არ გვინახავს, მთელი სხეული ტილებით არის დაკბენილი. ყოველ დღეს ჯარისკაცები მხოლოდ იმას ჰფიქრობენ, ნეტავ ომი მალე გათავდებოდესო“.

ტყვე ჯარისკაცთა მორალური მდგომარეობის შემდგომ გაუარესებას მოწმობენ გერმანიიდან გამოგზავნილი წერილებიც.

ჯარისკაც გერმან შტაინერს მისი მეგობარი მიუნხენიდან სწერს: „აქ, მაღაზიაში, ვერაფერს ვერ იყიდი“.

თავის ქმრისადმი გამოგზავნილ წერილში ობერ-ეფრეიტორის ფრანც ზაიბოლდის ცოლი ეკითხება: „როდის-ღა მოეღება ბოლო ამ ომს? მე ისეთი გრძნობა მაქვს, რომ თუ თქვენ ზამთარშიც აღმოსავლეთში იქნებით, შინ ვერასოდეს ვეღარ დაბრუნდებით“. ერთ მოკლულ გერმანელს აღმოაჩნდა მისი ცოლის წერილი, რომელშიც იგი სწერს: „შენ იწერები სამარი სულისკვეთებით გამსჭვალულთა რიცხვი სულ უფროდაუფრო კლებულობსო. მაგრამ ახლა ეს სარგებლობას ვერ მოიტანს. ამაზე 8 წლის წინათ უნდა გვეფიქრნა“.

11 ნოემბრის საღამოს ცნობა

11 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან ყველა ფრონტზე.

10 ნოემბრის განმავლობაში მოსპობილია გერმანიის 4 თვითმფრინავი. ჩვენ 2 თვითმფრინავი დავკარგეთ.

11 ნოემბერს მოსკოვთან ჩამოგდებულია გერმანიის 4 თვითმფრინავი.

* * *

10 ნოემბრის განმავლობაში ჩვენმა ავიანაწილებმა, რომლებიც დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტებზე მოქმედებენ, მოსპეს გერმანიის 16 ტანკი, 60 ავტომანქანა ქვეითი ჯარითა და სამხედრო ტვირთითურთ, 55 საზიდარი საომარი მასალითურთ, 25 მოტოციკლი, მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი და ცხენოსანი ჯარის ოცეული.

* * *

მეთაურ მირონოვის ჯარის ნაწილებმა, რომლებიც ფრონტის ტულის უბანზე მოქმედებენ, უკანასკნელი 4 დღის განმავლობაში ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტეს, ხელთ იგდეს 7 ქვემეხი, 19 ნაღმსატყორცნი, 300 ყუთი ნაღმი, 38 ტყვიამფრქვევი, 200-ზე მეტი შაშხანა, დიდძალი ვაზნა და ხელყუმბარა, 2 რადიოსადგური, 100-ზე მეტი ცხენი და ბევრი სხვა სამხედრო საჭურველი.

* * *

სამხრეთის ფრონტზე ტყვედ წამოყვანილი გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები მოგვითხრობენ, რომ გერმანიის ჯარებს დიდი ზარალი მოსდით ტექნიკისა და ცოცხალი ძალის სახით. ტყვე გერმანელმა ლეიტენანტმა რუდოლფ ბაულემ განაცხადა: „გერმანელთა მე-9 სატანკო დივიზიაში 140 ტანკიდან სულ ბევრი 50 მანქანა გადარჩა. თვითეულ პოლკში მოკლული და დაჭრილია ათასზე მეტი ჯარისკაცი“.

103-ე მოტომექანიზებული პოლკის უფროსმა ეფრეიტორმა ფრიდრიხ ჰერბერტმა დაკითხვის დროს შემდეგი განაცხადა: „ჯარისკაცები სულ უფროდაუფრო ხშირად გამოსთქვამენ უკმაყოფილებას ომის გამო. დივიზიის ნაწილებში დისციპლინა საგრძნობლად დაეცა. ჯარისკაცები სიტყვას უბრუნებენ ოფიცრებს; გახშირდა მეთაურების ბრძანებათა შეუსრულებლობის შემთხვევები. ჯარისკაცები საბჭოთა მებრძოლებს ყველაზე მამაც და შეუპოვარ მებრძოლებად სთვლიან, როგორიც კი მათ დღემდე უნახავთ“.

* * *

მოწინავე მანქანა-ტრაქტორთა სადგურები წარმატებით ამთავრებენ სასოფლო-სამეურნეო წელიწადს და გაზაფხულისათვის ემზადებიან. იაროსლავლის ოლქში მტს-ების უმრავლესობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა. სუდისლავის მტს-ში თვითეულმა 15-ძალოვანმა ტრაქტორმა საშუალოდ 320-ზე მეტი ჰექტარი გამოიმუშავა. ამხ. არტამონოვის ბრიგადამ ერთი მანქანის გამომუშავება 400 ჰექტარამდე გაადიდა. ალტაის მხარეში ბულანიხინის მტს-მა მზრალად მოხნა 6,5 ათასი ჰექტარი და გეგმა 125 პროცენტით შეასრულა. ტრაქტორისტმა რეზცოვმა მზრალად მოხნა 230 ჰექტარი, ტრაქტორისტმა ალუსპოვმა დავალების გადამეტებით მზრალად მოხნა 60 ჰექტარი. ყაზახეთში სილანტიევის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა სატრაქტორო მუშაობის წლიურ გეგმას 2.600 ჰექტარით გადაამეტა და 8 ტონაზე მეტი საწვავი დაზოგა. სემიოზერნაიას მტს-ის ტრაქტორისტებმა — ქერებცოვმა და შინკარენკომ სატრაქტორო სამუშაოთა ორზე მეტი წლიური ნორმა შეასრულეს და 2.500 კილოგრამი საწვავი დაზოგეს.

უკანასკნელი ცნობები სამამულო ომის ფრონტებიდან

ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები

დასავლეთის ფრონტი, 10 ნოემბერი („პრავდის“ სპეციალური სამხედრო კორესპონდენტისაგან). გუშინდელი დღის განმავლობაში ფრონტის ვოლოკოლამსკის მიმართულებით არტილერიისა და ნაღმსატყორცნის სროლის დროს მტერს აქტიური მოქმედება არ უწარმოებია და ფრონტზე თავს უყრიდა ქვეით ჯარსა და არტილერიას.

ს. პუნქტში 4 დღის ბრძოლის განმავლობაში გერმანელებს ზარალი მოუვიდათ ადამიანთა მხრივ, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ჩვენს ზარალს. გარდა ამისა, ჩვენ ხელთ ვიგდეთ 4 ტანკი, ჯავშნიანი მანქანა, 6 ავტომობილი, 3 რადიოსადგური, 3 ქვემეხი, 5 ნაღმსატყორცნი, 11 ტყვიამფრქვევი და სხვა. 9 ნოემბერს, ღამით, მტერი ფრონტის ამ უბანზე საზვერავ მოქმედებას ეწეოდა ისე, რომ რეზერვების თავისმოყრა არ შეუჩერებია.

მნიშვნელოვნად მეტი გაცხოველება იყო მოჟაისკის მიმართულებით. აქ ჩვენი ჯარის ნაწილებმა არა ერთხელ მოიგერიეს გერმანელთა იერიშები, რომლებიც შეტევაზე გადმოსვლას ცდილობდნენ. არტილერიისა და ნაღმსატყორცნის სროლა განუწყვეტლივ სწარმოებდა.

ნარო-ფომინსკის რაიონში საბჭოთა არტილერიის ცეცხლით გაფანტულ იქნა გერმანელთა ქვეითი ჯარის დაჯგუფება. მალოიაროსლავეცის მიმართულებით ფაშისტები იშვიათად უშენდნენ ცეცხლს წითელი არმიის განლაგებებს, ახდენდნენ, თავიანთი ჯარების გადაჯგუფებას და თავს უყრიდნენ ფრონტზე ახალ ძალებს, მათ შორის ტანკების საკმაოდ მნიშვნელოვან რაოდენობას.

სერპუხოვის რაიონში ჩვენი ჯარის ნაწილებმა მოიგერიეს გერმანელები, რომლებიც ცდილობდნენ გადმოელახათ მდინარე უ. პუნქტში. მტერმა სცადა აგრეთვე შემოჭრილიყო ალექსინის რაიონში, მაგრამ მან აქაც მარცხი განიცადა. გერმანელთა მეავტომატენი, როცა ჩვენი თავდაცვის წინა კიდეს მოუახლოვდნენ, მოსპობილ იქნენ. წუხელ გერმანელთა ქვეითი ჯარის ბატალიონი კვლავ გადმოვიდა შეტევაზე ამ უბანში, მაგრამ უკუგდებულ იქნა და ამასთან დიდი ზარალი მოუვიდა.

დასავლეთის ფრონტის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ღამით დაბომბეს სამხედრო ობიექტები მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, დღისით კი გერმანელთა ქვეითი ჯარი, ტანკები და მოტორიზებული ნაწილები. ჩვენი თავდასხმების შედეგად მოწინააღმდეგეს სათვალავში დააკლდა 16 ტანკი, 40 ავტომობილი და ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი.

პ. ლიდოვი.

ტულის მიმართულებით

ტულის მიმართულება, 10 ნოემბერი (საკდესი). ტულის მიმართულებით მოქმედმა გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა შედარებითი სიწყნარის შემდეგ ამ უკანასკნელ დღეებში კვლავ გააძლიერეს შემოტევა. წააწყდა რა მედგარ წინააღმდეგობას ჩვენი ჯარის ნაწილების მხრივ, რომლებიც ტულას იცავენ, მტერმა თავისი ძალები გადააჯგუფა ახალი შემოტევისათვის, თავი მოუყარა მათ იმ მიზნით, რომ ქალაქს გარს შემოერტყას ფლანგებიდან და ზურგიდან.

ჩვენი მიმართულების მარჯვენა ფლანგზე გერმანელებმა შედარებით მცირე უბანზე თავი მოუყარეს 30-ზე მეტ ტანკს და რამდენიმე მეავტომატეს და ისინი იერიშზე გამოუშვეს. მეთაურთა—შლეველისა და ფოკანოვის ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს მტრის პირველი სატანკო იერიში, მერმე კი მოიგერიეს მეორეც.

სასტიკი ბრძოლებია ტულის სამხრეთ განაპირა უბანში. თავდაცვის თავის ზღუდეებს კარგად იცავენ მაიორ გორდიენკოს ქვეგანაყოფები. ამ ქვეგანაყოფებმა არტილერიის, ნაღმსატყორცნისა და ტყვიამფრქვევის ძლიერი ცეცხლით გაუვალი ფარდა შეჰქმნეს მტრისათვის. თავისი მარცხით გაცოფებული ფაშისტები ფრონტზე ჰგზავნიან თვითმფრინავთა სულ ახალ-ახალ ჯგუფებს.

ტულასთან გერმანელთა ზარალი ბრძოლის ყოველ საათს მატულობს. მტერს განსაკუთრებით დიდი ზარალი მოსდის ჩვენი არტილერიის გრიგალისებრი ცეცხლისაგან. მხოლოდ რამდენიმე ბატარიის მოქმედების შედეგად მოსპობილია ფაშისტთა 13 ტანკი. გერმანელთა 20-ზე მეტი ტანკი მწყობრიდან გამოიყვანეს მეთაურ ბონდარენკოს არტილერისტებმა.

გრიბოვი.

უკანასკნელი ცნობები

რუზველტის წერილი სტეტინიუსისადმი

ვაშინგტონი, 10 ნოემბერი (საკდესი). გადმოგვცემთ იმ წერილის ტექსტს, რომლითაც პრეზიდენტმა რუზველტმა მიმართა სესხად ან იჯარით იარაღის გადაცემის კანონის განხორციელების რწმუნებულს სტეტინიუსს:

„1941 წლის 7 ნოემბერს მე მივმართე მის აღმატებულებას პრეზიდენტ კალინინს წერილით, რომლითაც მივულოცე სსრ კავშირის ნაციონალური დღესასწაული და გამოვთქვი ამერიკელი ხალხის აღტაცება „მამაცური და მნიშვნელოვანი წინააღმდეგობით, რასაც საბჭოთა კავშირის არმია და ხალხი ეწევიან“. აგრეთვე ა. შ. შტატების მტკიცე გადაწყვეტილება — უზრუნველვყონ, რათა „ამაო არ აღმოჩნდეს მსხვერპლი და ტანჯვა ადამიანებისა, რომლებსაც მამაცობა შესწევთ იბრძოლონ აგრესიის წინააღმდეგ“. ამ წერილში მე სიტყვა მივეცი პრეზიდენტ კალინინს, რომ „ა. შ. შტატების მთავრობასა და ხალხს სურთ ყოველივე შესაძლებელი გააკეთონ იმისათვის, რათა დახმარება გაუწიონ თქვენს ქვეყანას ამ კრიტიკულ ჟამს“.

ამ დაპირების შესაბამისად, სესხად ან იჯარით იარაღის გადაცემის კანონით ჩემთვის მონიჭებულ რწმუნებათა საფუძველზე, მე დღეს დავადასტურე, რომ სსრ კავშირის თავდაცვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შეერთებული შტატების თავდაცვისათვის. ამასთან დაკავშირებით, წინადადებას გაძლევთ მიიღოთ დაუყოვნებლივი ზომები, რათა სსრ კავშირს გადაეცეს თავდაცვითი მასალა სესხად ან იჯარით იარაღის გადაცემის კანონის შესაბამისად და შეასრულოთ პირობები, რომლებიც ჩამოთვლილია 1941 წლის 30 ოქტომბრის ჩემს წერილში პრემიერ სტალინის სახელზე. მე მადლობელი ვიქნები, თუ თქვენ რაც შეიძლება დაჩქარებით დაამუშავებთ ამ პროგრამის დეტალებს სსრ კავშირის წარმომადგენელთან ერთად“.

უილკის გამოსვლა

ლონდონი, 11 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ნიუ-იორკიდან გადმოგვცემს, რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა უილკიმ პოლონეთისადმი რადიოთი მიმართულ სპეციალურ სიტყვაში განაცხადა, რომ ინგლისისა და ამერიკის ავიაქარხნები ამჟამად უკვე მეტ პროდუქციას უშვებენ, ვიდრე გერმანია და მის კონტროლქვეშ მყოფი ყველა ქვეყანა. ერთი წლის შემდეგ,—სთქვა უილკიმ,—ინგლისი და ამერიკა 3-ჯერ მეტ თვითმფრინავებსა და სხვა საავიაციო მასალებს გამოუშვებენ, ვიდრე გერმანია.

უილკიმ პოლონელ ხალხს მოუწოდა მამაცობა და გულადობა გამოიჩინოს გაჭირვებასა და დამცირებაში და განაცხადა: ამერიკისა და ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტები სწრაფად ამყარებენ თავის კონტროლს ატლანტიკაში და სპობენ გერმანიისა და იტალიის ფლოტების უკანასკნელ ნაშთებს. შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ შედარებით მოკლე პერიოდში მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნები გაბატონდებიან როგორც ზღვაში, ისე ჰაერში. განთავისუფლების ჟამი სწრაფად ახლოვდება. ყველა ამერიკელი სწრაფად ერთიანდება და აღსავსეა ერთიანი და მტკიცე გადაწყვეტილებით—რაც უნდა დაჯდეს, მოსპონ ნაციზმის საფრთხე ჩვენს პლანეტაზე. ხოლო თუ ამერიკამ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, და ამ გადაწყვეტილებას ზურგი გაუმაგრა ამერიკის მრეწველობის მთელმა სიმძლავრემ, მაშინ ბაქია ნაცისტი განგსტერების ძალები მას ვეღარ გაუმკლავდებიან.

დღეს,—სთქვა დასასრულ უილკიმ,—თქვენ მძიმე ჯვარს ატარებთ, ხვალ კი თავისუფლებით დასტკბებით.

ირანის პრემიერ-მინისტრის ფორუგის განცხადება

თეირანი, 10 ნოემბერი (საკდესი). 7 ნოემბერს პრემიერმა ფორუგიმ ირანელ ჟურნალისტებს განცხადება გაუკეთა ირანის, დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის ხელშეკრულების თაობაზე. ირანის მთავრობას,—სთქვა ფორუგიმ,—არასოდეს არ უფიქრია მონაწილეობა მიეღო ახლანდელ მსოფლიო ომში და მხურვალედ სურს ყველა სიძნელე და დავა გადასჭრას მშვიდობიანი გზით ურთიერთ გაგების საფუძველზე. ორი მეზობელი ქვეყნისადმი ირანის მთავრობის პოლიტიკა ემყარება თანხმობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებას არა მარტო ამჟამად, როდესაც მსოფლიოს ყველა ხალხი მოცულია საშინელი კრიზისით და როდესაც, საბედნიეროდ, ორივე მოხსენებულ მთავრობას თავისი შეიარაღებული ძალები ჰყავს ირანში, არამედ საერთოდაც ირანი თავის ურთიერთობას მეზობლებთან, განსაკუთრებით კი დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებთან, მუდამ ურთიერთი გაგებისა და თანხმობის სულისკვეთებაზე უნდა ამყარებდეს.

პრემიერმა შემდეგ აღნიშნა, რომ მოლაპარაკების შედეგად და ინგლისისა და სსრ კავშირის მთავრობათა კეთილი ნება-სურვილის მეოხებით, ირანმა შესძლო სასარგებლო შედეგებისათვის მიეღწია. მოლაპარაკების დროს,—ამბობს ფორუგი, — ხელმძღვანელობდნენ მსოფლიოს ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პრინციპებით, რომლებიც გამოცხადებულია რუზველტისა და ჩერჩილის დეკლარაციაში.

პრემიერმა უარჰყო ხმები იმის შესახებ, რომ დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის მთავრობები მათ მიერ წამოყენებულ წინადადებებში ვითომ ინარჩუნებენ ირანის პოლიტიკურ და სამხედრო საქმეებში ჩარევის უფლებას, მან განაცხადა, რომ ამგვარი მოთხოვნები, რომლებიც ეწინააღმდეგება ირანის დამოუკიდებლობასა და უფლებებს, არასოდეს არა ყოფილა წამოყენებული და რომ მთავრობა ამაზე არასოდეს არ დასთანხმდებოდა. მან უარჰყო აგრეთვე ხმები იმის შესახებ, რომ ირანს ვითომ წაუყენეს მოთხოვნა დასდოს სამხედრო შეთანხმება ან აიძულონ ირანის შეიარაღებული ძალები მონაწილეობა მიიღონ ბრძოლაში ინგლისთან და სსრ კავშირთან ერთად, ანდა, ბოლოს მობილიზებულ იქნას ირანის ახალგაზრდობა ამ მიზნისათვის. „ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად,—სთქვა ფორუგიმ,—მე გარკვევით ვაცხადებ, რომ დღემდე არავითარი ასეთი მოთხოვნა ირანისათვის არ წაუყენებიათ. ჩემი მთავრობა, როგორც მან უკვე ნათლად განაცხადა ამის შესახებ, — სთვლის რომ ირანის შეიარაღებული ძალები უნდა ემსახურებოდნენ შინაგანი უშიშროების დაცვის და ნაციონალური დამოუკიდებლობის პრინციპთა დაცვის ინტერესებს. ამგვარი ხმების ყველა გამავრცელები, თავის კერძო ინტერესებს მისდევს; მათ სურთ შეშფოთება გამოიწვიონ მოსახლეობაში და ამასთან თავისი ბნელი საქმეები განახორციელონ“.

დასასრულ პრემიერმა აღნიშნა, რომ მთავრობა არ აპირებს გაიწვიოს არმიაში უფრო ადრინდელი ასაკები და განზრახვა არა აქვს შეიტანოს ცვლილებანი სამხედრო სამსახურის არსებულ დებულებებში.

ასტურიის პარტიზანების ბრძოლა

ნიუ-იორკი, 11 ნოემბერი (საკდესი). ჟურნალი „ფრი უორლდი“, რომელიც ნიუ-იორკში გამოდის, იუწყება, რომ ასტურიაში (ესპანეთი) მოქმედი ესპანელი პარტიზანების წინააღმდეგ სულ ცოტა 4 დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნეს. ჟურნალის სიტყვით, ესპანელი გლეხები ყოველნაირად ეხმარებიან პარტიზანებს. პარტიზანები აქტივობას იჩენენ სანტანდერის პროვინციაშიც.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი. ლონდონის რადიო დამატებით იუწყება რომ გერმანიაზე თავდასხმებას დროს 8 ნოემბერს მონაწილეობას იღებდა ინგლისის არანაკლებ 600 თვითმფრინავისა და ოპერაციების მთავარი ობიექტი ამ დღეს ბერლინი იყო.

სამამულო ომის ფრონტებიდან

წითელი არმიის მეომრები საბრძოლო საგმირო საქმეებით უპასუხებენ ბელადის მოწოდებას

დასავლეთის ფრონტი, 10 ნოემბერი (საკდესის სპეცკორი). გასულ დღე-ღამეში თითქმის მთელ ფრონტზე ორივე მხარე აწარმოებდა არტილერიისა და ნაღმსატყორცნთა სროლას. 9 ნოემბერს ღამით ორივე მხარე დაზვერვას ეწეოდა. მხოლოდ ცალკეულ უბნებში მოწინააღმდეგე წვრილ-წვრილ ჯგუფებად ცდილობდა სოლივით შემოჭრილიყო ჩვენი ჯარის ნაწილების განლაგებაში, მაგრამ სწრაფი კონტრიერიშებით მას ყოველთვის უკუაქცევდით და დიდ ზარალს ვაყენებდით. წითელი არმიის ნაწილები, რომელნიც მოსკოვის მისადგომებს იცავენ, განაგრძობენ თავიანთი თავდაცვის განმტკიცებას.

ყველა საბრძოლო ქვეგანაყოფში გამართულ მიტინგებზე წითელარმიელებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა შეჰფიცეს დიდ სტალინს არ გამოუშვან მტერი მოსკოვისაკენ. № საარტილერიო პოლკის წითელარმიელმა ამხ. გიცენკომ, რომელმაც ჩვენი მეომრების აზრი გამოსთქვა, განაცხადა:

— მაშ მთელი ჩვენი ძალა და უნარი, ხოლო თუ საჭირო გახდა, თვით სიცოცხლეც შევწიროთ ჩვენი ხალხის ღირსებისა და თავისუფლების დაცვას, ფაშისტი ოკუპანტების სამარედ ვაქციოთ მოსკოვის მისადგომები.

ამ სიტყვებს წითელი არმიის მამაცი მეომრები საბრძოლო საქმეებით განამტკიცებენ. ისინი სიცოცხლის დაუზოგავად მიდიან ბრძოლაში და ლომებივით ებრძვიან მტრის ძალებს, რომელნიც ტექნიკით გვჭარბობენ.

მეთაურ როკოსოვსკის მარცხენა ფრთის ნაწილები გუშინ და დღეს კვლავ ანადგურებდნენ გერმანელთა დაჯგუფებას, რომელიც გარშემორტყმულია ს-ის რაიონში. აქ უკანასკნელ 4 დღეში ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს 1.500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 4 ტანკი, 16 დაზგიანი და ხელის ტყვიამფრქვევი, 3 ქვემეხი, 5 ნაღმსატყორცნი, 3 მოტოციკლი, 3 რადიოსადგური, 1 ჯავშნიანი მანქანა და 6 ავტომანქანა სამხედრო ქონებითურთ. უკანასკნელ ბრძოლებში განსაკუთრებით ისახელა თავი ლეიტენანტ კოროვიანსკის სატანკო ეკიპაჟმა. მან ერთერთ ბრძოლაში მოსპო მტრის 2 ჯავშნიანი მანქანა და ხელთ იგდო მსხვილი ყალიბის ერთი ტყვიამფრქვევი, რადიოსადგური და მნიშვნელოვანი რუკები. მეორე ბრძოლაში კოროვიანსკის ეკიპაჟმა მოსპო 15 გერმანელი და წამოიღო ნადავლი სატვირთო ავტომანქანა სამხედრო ქონებითურთ.

მეთაურ გოვოროვის ნაწილებმა გასულ დღე-ღამეში მტრის ორგზისი იერიში მოიგერიეს ტ-ის რაიონში. მტერმა დიდძალი მოკლული და დაჭრილი დასტოვა ბრძოლის ველზე და პირვანდელ ზღუდეებზე დაიხია. აქტიურად მოქმედებდნენ არტილერისტები ნაროფომინსკის რაიონში. ისინი დიდი ხნის განმავლობაში ძლიერ ცეცხლს უშენდნენ გერმანელთა თავმოყრილ ქვეითს ჯარს. ამ საცეცხლო თავდასხმის შედეგად მარტო ერთ ადგილას მოსპობილ იქნა დაახლოებით ერთი ოცეული გერმანელი ჯარისკაცი და დადუმებულ იქნა ნაღმსატყორცნელი ბატარია.

მეთაურ გოლუბევის ნაწილები განაგრძობდნენ თავისი ზღუდეების გამაგრებას და ბრძოლას ეწეოდნენ მოწინააღმდეგის წვრილ-წვრილ ჯგუფებთან, რომელნიც კვლავ ცდილობდნენ გადასულიყვნენ მდინარე ნარის აღმოსავლეთ ნაპირზე. მეთაურ ზახარკინის ნაწილები წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ცალკეულ ჯგუფთა ცდას გადაელახათ მდინარე ო.

მეთაურ მირონოვის ქვეგანაყოფი, რომელმაც დაიკავა სოფელი ვისოკოე, განაგრძობდა ამ რაიონის გაწმენდას მტრის ჯგუფებისაგან. 9 ნოემბერს ღამით ამ უბანზე მოწინააღმდეგე დაახლოებით ერთი ბატალიონით შეტევაზე გადმოვიდა. წითელი არმიის მებრძოლები და მეთაურები ჯგუფური ცეცხლით დაუხვდნენ მტერს, შემდეგ კი სწრაფი კონტრიერიშით უკუაქციეს იგი პირვანდელ პოზიციებზე.

წითელი არმიის მეომრები, რომელნიც დედაქალაქის შორეულ მისადგომებზე იბრძვიან, საბრძოლო საგმირო საქმეებით უპასუხებენ ამხანაგ სტალინის მოხსენებასა და სიტყვას. ამ დღეებში განსაკუთრებით ისახელეს თავი წითელარმიელებმა მარტინოვმა, ივანოვმა, სვეტლილინმა, რუბცოვმა, სერჟანტმა ბერსენოვმა, უფროსმა სერჟანტმა ჟავორონკოვმა და ათასობით სხვა მებრძოლმა, მეთაურმა და პოლიტმუშაკმა. მზვერავმა მარტინოვმა მოსპო სამი გერმანელი ჯარისკაცი, ააფეთქა მტრის მოტოციკლი და ძვირფასი ცნობები მოუტანა თავის შტაბს მოწინააღმდეგის შესახებ. 7 ნოემბერს უფროსმა სერჟანტმა ჟავორონკოვმა და წითელარმიელმა ივანოვმა მტრის 2 ტანკი დასწვეს. სერჟანტმა ბერსენოვმა ნაღმსატყორცნის ერთი გასროლით 20 ფაშისტი მოსპო. № გამანადგურებელმა რაზმმა ოქტომბრის რევოლუციის XXIV წლისთავის დღესასწაულის დღეს გერმანელთა 2 ტანკი ააფეთქა და დასწვა საწვავი მასალითა და სურსათით დატვირთული 2 ავტომანქანა. ამხ. რომანოვის ქვეგანაყოფმა სოფელ მ-სთან წარმოებულ ბრძოლაში 400-მდე გერმანელი ოკუპანტი მოსპო. ჩვენი მამაცი მეომრების ყველა საგმირო საქმეთა ჩამოთვლაც კი ძნელია. თვითეული მებრძოლი აგზნებულია სურვილით შური იძიოს გერმანელ დამპყრობლებზე აოხრებული სოფლებისა და ქალაქებისათვის, ჩვენი ბავშვების, ცოლების, დედებისა და დების დახოცვისათვის.

ჩვენი ფრონტის სამხედრო-საჰაერო ძალები გასულ დღე-ღამეში ბომბავდნენ და იერიში მიჰქონდათ მტრის ქვეითი ჯარის, ტანკებისა და მოტომექანიზებული ნაწილების დაჯგუფებებზე. საჰაერო იერიშების შედეგად ჩვენმა მფრინავებმა მწყობრიდან გამოიყვანეს და მოსპეს გერმანელთა 1 თვითმფრინავი, 15 ტანკი, 40 ავტომანქანა, 5 მოტოციკლი და მოსპეს მტრის ქვეითი ჯარის დაახლოებით ერთი ბატალიონი.

ი. გრიგოვი

ჩვენი ჯარები თავის ზღუდეებს ამაგრებენ

დასავლეთის ფრონტი, 9 ნოემბერი („პრავდის" სპეც. სამხედრო კორესპონდენტისაგან). გუშინ ვოლოკოლამსკის მიმართულებით უმეტესი დაძაბული ბრძოლები იყო ს. პუნქტის ირგვლივ, რომელიც დაკავებულია მტრის მიერ და გარშემორტყმულია საბჭოთა ჯარების მიერ. გერმანელები კვლავ შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ ჩვენს ნაწილებს, ზოგან კი კონტრიერიშზე გადმოდიან. საღამოხანს ამ უბანზე სიწყნარე ჩამოვარდა, და ღამემ მშვიდად ჩაიარა.

მოჟაისკის მიმართულებით წითელი არმიის ნაწილები განაგრძობდნენ დაკავებულ ზღუდეებზე დამკვიდრებას. (გამოტოვებულია) რაიონში გერმანელები არტილერიისა და ნაღმსატყორცნის ცეცხლის საფრით გადმოვიდნენ ნარის აღმოსავლეთ ნაპირზე და დაიკავეს სოფელი გ. ჩვენი ქვეითი ჯარი კონტრშეტევაზე გადავიდა და ფაშისტები გარეკა ამ სოფლიდან. მოწინააღმდეგე გაიქცა, ამასთან დიდი ზარალი მოუვიდა. ჩვენი მებრძოლები განაგრძობდნენ მტრის დაჯგუფებათა ნაშთების დევნას და კვლავ გარეკეს ისინი ნარის გაღმა.

მალოიაროსლავეცის მიმართულებით გერმანელები თავს უყრიან ქვეითს ჯარსა და ტანკებს. 8 ნოემბერს, ღამით, გერმანელები ცდილობდნენ შემოტევაზე გადმოსულიყვნენ აქ მცირე ჯგუფებად, მაგრამ დამარცხებულ იქნენ. ჩვენი ჯარები ყველგან განაგრძობენ საფუძვლიან ნაგებობათა შექმნას მათ მიერ დაკავებულ პოზიციებზე და თავდაცვის სიღრმეში, რისთვისაც იყენებენ ბუნებრივ ზღუდეებს.

ჩვენს მფრინავებს ცუდმა ამინდმა ხელი ვერ შეუშალა მოეხდინათ დაზვერვა, ენადგურებინათ სახმელეთო ჯარები, დაებომბათ და იერიში მიეტანათ ფაშისტთა მოტომექანიზებულ კოლონებსა და ქვეითს ჯარზე ფრონტის ყველა მიმართულებით. არასრული ცნობებით, ჩვენმა ავიაციამ დააზიანა 4 თვითმფრინავი მტრის აეროდრომზე, 14 ავტომობილი ქვეითი ჯარითურთ, 6 საზენიტო წერტი და ერთ ასეულამდე გერმანელთა ქვეითი ჯარი.

გაბედული კონტრიერიშები

ლენინგრადი, 9 ნოემბერი („პრავდის" სპეციალური სამხედრო კორესპონდენტისაგან). გუშინ და დღეს ფრონტის ცალკეულ უბნებზე ჩვენი ჯარის ნაწილები განაგრძობდნენ კონტრიერიშებს, აუმჯობესებდნენ თავის პოზიციებს და სპობდნენ საცეცხლე წერტებს. გუშინ არტილერიის ცეცხლით მოსპობილ იქნა ფაშისტთა 11 ნაღმსატყორცნი ბატარია, დანგრეულია 5 ბლინდაჟი. გაბედული თავდასხმა მოახდინა მებრძოლთა ჯგუფმა უმცროსი ლეიტენანტის მიხაილოვის მეთაურობით. მებრძოლები ზედ მიადგნენ გერმანელთა სანგრებს და ხელყუმბარები დააყარეს. მოსპობილია 35 გერმანელი.

მტერი ჩვენს წინსვლას შეუპოვარ ცეცხლით წინააღმდეგობას უწევს.

6 ნოემბერს ჩვენი თვითმფრინავები თავს დაესხნენ მტრის აეროდრომებს. მოსპობილია გერმანელთა 29 თვითმფრინავი და დაზიანებულია 18 მანქანა. გარდა ამისა, საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია „მესერშმიტ-109". 7 ნოემბერს ხანკოს მფრინავებმა საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდეს ფაშისტთა 2 თვითმფრინავი. დღეს ფრონტელებში უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია ამხანაგ სტალინის მოხსენებამ და სიტყვამ. ისინი გამრავლებულ იქნა ათიათასობით ცალად და დაურიგდა თვითეულ სანგარს, თვითეულ მებრძოლს.

— გულში ჩაგვწვდა ამხანაგ სტალინის მამაცური, მართალი სიტყვები, — ამბობენ ფრონტელები. ეს სიტყვები გვმატებს ახალ ძალებს, რომლებიც მოგვიხმობენ ახალ-ახალი საგმირო საქმისათვის სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ა. მალიუტინი

მაღლობი აღებულია

ჩრდილოეთის ფრონტი, 8 ნოემბერი (საკდესის სპეც. სამხედრო კორესპონდენტსაგან). დიადი წლისთავის აღსანიშნავად, კადონოვისა და სტაროვოიტოვის მებრძოლებმა 7 ნოემბერს, შუადღისას, დაიკავეს მნიშვნელოვანი მაღლობი, რომელიც ჩერტოვის გადასასვლელს დაჰყურებს. გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

ა. დუნაევსკი

ჰარიმანის სიტყვა

ნიუ-იორკი 10 ნოემბერი (საკდესი). „ამერიკელთა ლეგიონის" მიერ ქალაქ ინდიანაპოლისში (ინდიანის შტატი) გამართულ ბანკეტზე გამოვიდა ჰარიმანი, რომელმაც ილაპარაკა თავის დაკვირვებაზე მოსკოვში ყოფნის დროს და იმ მოლაპარაკებაზე, რასაც იგი მოსკოვში აწარმოებდა. მან განაცხადა, რომ წითელ არმიასა და საბჭოთა ხალხს შეუძლიათ და განზრახვა აქვთ განაგრძონ ბრძოლა, მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ტექნიკას და აღტაცებული აზრი გამოსთქვა სტალინის ხელმძღვანელობის შესახებ. ჰარიმანმა მოუწოდა ამერიკელებს კიდევ უფრო მეტად დაძაბონ თავიანთი ძალები ჰიტლერის წინააღმდეგ საბრძოლველად.

„რუსებს შეუძლიათ განაგრძონ ბრძოლა და კიდევაც განაგრძობენ, — განაცხადა ჰარიმანმა.—საიდან ვიცით ეს ჩვენ? ჩვენ ხანგრძლივი საუბრები გვქონდა რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელებთან. ბივერბრუკი და მე ხანგრძლივი საღამოების მანძილზე დაწვრილებით ვიხილავდით მდგომარეობას სტალინთან ერთად. ჩვენი დელეგაციის ყოველი წევრთაგანი რუსეთის მთავრობის წარმომადგენელთა ჯგუფებს ხვდებოდა. ჩვენ ვნახეთ ქარხნები, გავეცანით მუშების განწყობილებას, მოვისმინეთ მოხსენებები საჰაერო ფლოტის ორი ამერიკელი ოფიცრისა, რომლებმაც ორი თვე გაატარეს რუსეთის აეროპორტში, სადაც ამერიკის თვითმფრინავების აწყობა ხდება და სადაც რუსი მფრინავები ამერიკული მანქანების მართვას სწავლობენ. მაგრამ არც ერთ ჩვენს საუბარში ერთხელაც არა გვსმენია არც ერთი დამარცხების განწყობილების გამომხატველი სიტყვა. რუსები აღსავსენი არიან ბრძოლის ნებისყოფით. მათი რწმენა ბრძოლის საბოლოო გამარჯვებისა იმას ემყარება, რომ მათ იციან —მთელი ხალხი მზად არის გაიღოს მსხვერპლი ჰიტლერელთა ბატონობისაგან თავისი ქვეყნის გადასარჩენად, და რომ მათი ტერიტორიის სიღრმე (გამოტოვებულია). მათ სწამთ, რომ შეუძლიათ იომონ თანამედროვე იარაღით. ჩვენმა მფრინავებმა გვაცნობეს, რომ რუსებმა სარეკორდო ვადაში—30 დღეში ააგეს და მოამზადეს ჩვენი თვითმფრინავებისათვის ხიმინჯებზე გაკეთებული აეროდრომი, რომელიც ნაწილობრივ ჭაობში მდებარეობს. ამერიკელმა პილოტებმა გვითხრეს, რომ რუსმა პილოტებმა ამერიკული თვითმფრინავი უფრო სწრაფად შეისწავლეს და უფრო ნაკლებად ჰქონდათ უბედური შემთხვევა, ვიდრე ინგლისელი ან ამერიკელი მფრინავების ასეთსავე ჯგუფს. რუსმა მექანიკოსებმა კი, რომლებსაც მხოლოდ დასცინოდნენ, ისეთი უნარი, გამომგონებლობა და მუშაობის სურვილი გამოიჩინეს, როგორიც მაგალითად გამოდგებოდა ამერიკელი მექანიკოსებისათვის. გათენებიდან დაბინდებამდე, დღეში 14 საათს მუშაობენ ისინი წვიმასა და სიცივეში. ავიაციის ახალგაზრდა ამერიკელი ოფიცრები სკეპტიკურად განწყობილნი ჩავიდნენ რუსეთში, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც ისინი ყოველდღე ხვდებოდნენ რუს მფრინავებს, დარწმუნდნენ, რომ მათ იციან ფრენა და მატერიალური ნაწილის მოვლა. ჩვენმა დელეგაციამ ნახა თვითმფრინავებისა და საავიაციო მოტორების წარმოება იმდენ ქარხანაში, რამდენის დათვალიერებისათვის დრო გვქონდა. ეს ქარხნები უახლესი ამერიკული მანქანებით არის აღჭურვილი და მათ განაგებენ ადამიანები, რომლებიც წარმოების ამერიკულ და ინგლისურ მეთოდებს სწავლობენ. მუშაობის ხარისხი და მისი ორგანიზაცია კარგია, და საბჭოთა თვითმფრინავი ეფექტურ საბრძოლო იარაღს წარმოადგენს".

ჰარიმანმა აღტაცებით ილაპარაკა საბჭოთა მრეწველობის ისეთ რაიონებში გადატანისათვის მზადებაზე, რომლებიც მიუწვდომელია ჰიტლერისათვის. „რუსებმა ბევრი მატერიალური ფასეულობა დაჰკარგეს, მაგრამ მათი თხოვნის თავდაბლობამ გაგვაკვირვა; თუ სახელდობრ რას და რა რაოდენობით ითხოვდნენ ისინი, ეს სამხედრო საიდუმლოებას შეადგენს, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ყოველი მათი მოთხოვნა ზომიერ მოთხოვნად ვცანით, და მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ მიაწოდონ თითქმის ყოველივე ის, რაც ჩვენ გვთხოვეს".

„სტალინი პირდაპირ მოქმედებს. ის მაგიდის მეორე მხარეს უზის და ისეთ კითხვებს აძლევა, რომლებზედაც პასუხის გაცემა ძნელია. თუ პასუხი მას არ მოსწონს, ამას კიდევაც ამბობს. ის ასევე პირდაპირ გამოსთქვამს თავის კმაყოფილებასაც. სტალინი დაუცხრომლად მუშაობს. საკითხებს სწრაფად და გულდაჯერებით სწყვეტს. ის თავისი არმიის მომარაგების ყველა საკითხის კურსშია. ეჭვი არ არის, რომ რუსეთის არმიებს სტალინის ტეინი ხელმძღვანელობს. ის საჭურვლის ყველა დეტალის გასაოცარ ცოდნას იჩენს და შესწორებაც კი შეიტანა ბივერბრუკის ნათქვამში, თუ რამდენი ცხენძალის სიმძლავრე აქვს „ჰარიკეინის" მოტორების უკანასკნელ მოდელებს. სტალინი ყოველთვის ამჩნევს მოვლენათა სასაცილო მხარეს და შეუძლია სერიოზული საუბრის დროსაც კი იცინოს. როცა კონფერენცია დაიწყო, სტალინი დარწმუნებული არ იყო იმაში, რომ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ნამდვილად სერიოზული განზრახვები ჰქონდათ. სტალინს ჯერ კიდევ კონფერენციის დამთავრებამდე გაეფანტა ეს ეჭვი".

ჰარიმანმა ლადებითად შეაფასა ინგლისის საომარი ღონისძიებანი და განაცხადა, რომ თავდაცვის საქმეში ამერიკის მიერ შეტანილი წვლილი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ამერიკელების უმრავლესობას ჰიტლერის დამარცხება სურს, „მაგრამ ამას ჩვენ სხვათა შორის ვერ გავაკეთებთ". ჩვენ ხელიდან არ უნდა გავუშვათ შემთხვევა, რომელსაც რუსეთის მედგარი წინააღმდეგობა გვაძლევს. იმედი ვიქონიოთ, რომ ჰიტლერის არმია ვერასოდეს ვერ დააღწევს თავს რუსეთის ჭაობებს. მაგრამ მარტო რუსეთს არ შეუძლია ჰიტლერის განადგურება. შეიძლება იმის იმედი გვქონდეს, რომ, თუ მოვახერხებთ ჰიტლერის არმიის შეტევის შეჩერება და ყველა მიმართულებაზე თავდაცვის შექმნა და თუ ამავე დროს გერმანელი ხალხი ინტენსიურად დაბომბილი იქნება ჰაერიდან, მაშინ მანიაკი ჰიტლერის გავლენა შეიძლება გავტეხოთ. თქვენ იცით, რომ გერმანელთა ყოყოჩობა ერთხელ უკვე გატეხილ იქნა. თავისუფალი ხალხი რომ დავრჩეთ, ამისათვის შეიძლება და საჭიროც არის ხელახლად გავაკეთოთ ეს. მთელი მსოფლიო პატივს სცემს ამერიკის პოტენციალურ ძლიერებას და ეშინია მისი. ჰიტლერი სპეკულაციას ეწევა იმით, რომ ამერიკამ დროზე ვერ მოახდინა მობილიზაცია".

თავის სიტყვის დასასრულს ჰარიმანმა განაცხადა, რომ „ამერიკული ლეგიონის" პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს „ნაციონალურ ერთიანობას ჰიტლერის გასანადგურებლად, მოითხოვს ნაცისტური შემოსევის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირისათვის დახმარების გაწევის რუზველტის პოლიტიკისათვის მხარდაჭერას და ამავე დროს იმას, რომ დარღვეული არ იქნას კომუნიზმისადმი ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულება". მან განაცხადა, რომ წითელი ბაირაღი და ამერიკის ბაირაღი დიომიდეს კუნძულებზე ერთმანეთს დაშორებულია სულ რაღაც ორნახევარი მილით. ეს ასე არის უკანასკნელ 24 წლის განმავლობაში, მაგრამ ამერიკელთა შეშფოთებას არ იწვევს. სხვა მდგომარეობა იქნებოდა დიომიდეს დიდ კუნძულზე და ციმბირში რომ სვასტიკიანი ბაირაღი ფრიალებდეს.

დე-გოლის გამოსვლა

ლონდონი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, თავისუფალ ფრანგთა ხელმძღვანელმა დე-გოლმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა, რომ თანამედროვე ომში გამარჯვების პირველი პირობა ტანკებისა და თვითმფრინავების მხრივ უპირატესობა არის.

დე-გოლმა შეადარა თანამედროვე ომში ორივე მხარის საწარმოო შესაძლებლობანი და აღნიშნა, რომ გერმანიის სამხედრო მრეწველობამ წარმოების მაქსიმალურ დონეს უკვე მიაღწია და რომ გერმანიამ მობილიზაცია უყო ადამიანთა ყველა შესაძლებელ რეზერვებს და მრეწველობას გამოსწურა ყველაფერი, რის მიცემაც მას შეუძლია ომისათვის, მაშინ როდესაც ამერიკის, ინგლისისა და სსრ კავშირის საწარმოო რეზერვები უდიდესია.

„საწარმოო ძლიერების განსაზღვრისათვის, —სთქვა დე-გოლმა,—საფუძვლად ავიღოთ 1938 წლის მონაცემები. თუნდაც ისე რომ ვივარაუდოთ, რომ თავისუფალ ხალხებს არ შეეძლებათ გაზარდონ თავისი წარმოება, გერმანიას კი საშუალება ექნება მიიღოს დაპყრობილი ქვეყნებიდან ყველაფერი, რასაც ისინი იძლეოდნენ მშვიდობიანობის დროს, თანაფარდობა ალუმინისა და რკინის მხრივ შედარებით თანასწორი იქნება. მაგრამ ამერიკამ, ბრიტანეთის იმპერიამ და რუსეთმა, ფაშისტების მიერ დროებით დაკავებული რაიონების გამოკლებით, 1938 წელში ამოიღეს ერთი მილიარდი ტონა ქვანახშირი, მაშინ როდესაც ღერძის სახელმწიფოებმა და მათ მიერ დამორჩილებულმა ქვეყნებმა ამოიღეს 400 ათასი ტონა. ნავთის მხრივ ეს ციფრები შედარებით 266 მილიონი ტონა და 20 მილიონი ტონა იქნება, ნიკელის—110 ათასი ტონა და 3 ათასი ტონა, კალის—2 მილიონი ტონა და 200 ათასი ტონა, სპილენძის—2 მილიონი ტონა და 190 ათასი ტონა, კაუჩუკის—ერთი მილიონი ტონა 0-ის წინააღმდეგ.

თავისუფალ ქვეყნების განკარგულებაში მყოფი კვალიფიციური მუშათა რიცხვი ორჯერ მეტია ჰიტლერის კოალიციის ქვეყნებში მყოფ მუშათა რიცხვზე, რაც შეეხება არაკვალიფიციურ მუშებს, თავისუფალ ხალხთა რეზერვები ფაქტიურად უშრეტია.

რაიმე ზებუნებრივ გარემოებათა გამო, რომ თავისუფალ ხალხებს თავი შეეკავებინათ ჰიტლერის განადგურებისაგან,—სთქვა დასასრულ დე-გოლმა,—ეს იმის მსგავსი იქნებოდა, რომ გოლიათმა წამოიჩოქოს ჭონდრისკაცის წინაშე.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ინგლისის ხომალდებმა ხმელთაშუა ზღვაში ჩასძირეს მტრის 9 ტრანსპორტი და ერთი საესკადრო ნაღმოსანი

ლონდონი, 9 ნოემბერი (საკდესი). ბრიტანეთის საადმირალო იუწყება: „8 ნოემბერს, შუადღისას, ინგლისის ფლოტმა ხმელთაშუა ზღვაში ჩასძირა გემთა ორი ქარავანი და სერიოზული ზარალი მიაყენა მათს მობადრაგე სამხედრო გემებს. შაბათს, შუადღისას, ჩვენმა მზვერავმა თვითმფრინავებმა ტარანტოს სამხრეთით შეამჩნიეს მტრის გემთა ქარავანი, რომელსაც საესკადრო ნაღმოსნები ბადრაგობდნენ. ორი კრეისერისა და ორი საესკადრო ნაღმოსნისაგან შემდგარ სამხედრო პატრულს დავალება მიეცა ქარავანი შეებყრო. ეს პატრული კაპიტან ეგნიუს მეთაურობით მტერს შეხვდა 9 ნოემბერს, ღამის პირველ საათზე. აღმოჩნდა, რომ ქარავანი შესდგებოდა მტრის 8 ტრანსპორტისაგან, რომლებსაც საესკადრო ნაღმოსნები ბადრაგობდნენ. მათს შესახვედრად მოდიოდა მეორე ქარავანი, შესდგებოდა 2 ტრანსპორტისაგან, რომელსაც ბადრაგობდა ერთი საესკადრო ნაღმოსანი. ქარავნებს იცავდა ორი კრეისერი ათ-ათი ათასი ტონა წყალწყვისა, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ 8-დიუმიანი ქვემეხებით. ძალთა უთანასწორობის მიუხედავად, კაპიტანმა ეგნიუმ დაუყოვნებლივ მიიტანა იერიში. 10 ტრანსპორტიდან 9 ტრანსპორტს ცეცხლი გაუჩნდა და ჩაძირულ იქნა. ერთი მათგანი—საომარი მასალით დატვირთული—აფეთქდა. მეათე ტრანსპორტი—ტვირთიანი ტანკერი—მთლად ცეცხლში იყო გახვეული. იგი 10 საათის შემდეგ კიდევ იწვოდა, და მასაც დაღუპულად სთვლიან. ჩაძირულ იქნა ერთი საესკადრო ნაღმოსანი და ძლიერ დაზიანდა სულ ცოტა კიდევ ერთი ნაღმოსანი. ამ ბრძოლის დროს ინგლისის არც ერთი ხომალდი არ დაზარალებულა. დაბრუნებისას ჩვენს ხომალდებზე იერიში მოიტანეს მტრის ტორპედოსანმა თვითმფრინავებმა, მაგრამ უშედეგოდ. ყველა ხომალდი კაპიტან ეგნიუს მეთაურობით უვნებლად დაბრუნდა თავის ბაზაში.

ამ ბრწყინვალე გმირობასთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა საადმირალოს: „მიიღეთ ჩემი მილოცვა ამ მეტად მნიშვნელოვანი ოპერაციის გამო, რომელმაც ძლიერ დააზიანა მტრის კომუნიკაციები და რომელიც აბრკოლებს მის შემოტევას ნილოსის ხეობაზე, რასაც დიდი ხანია მტერი იკვეხნის. გადაეცით ჩემი მილოცვა ოპერაციის ყველა მონაწილეს.

ინგლისის თვითმფრინავების თავდასხმა ესენზე

ლონდონი, 9 ნოემბერი (საკდესი). ავიაციის სამინისტროს კომუნიკეს თანახმად, რაც დღეს გამოქვეყნდა, 8 ნოემბერს, ღამით, ინგლისის ბომბდამშენებმა დიდი თავდასხმა მოაწყეს ესენსა და დასავლეთ გერმანიის სხვა სამრეწველო ცენტრებზე. ესენში მფრინავებმა შეამჩნიეს, რომ მოხდა ძლიერი აფეთქებანი და ბევრგან ხანძარი გაჩნდა. ამას გარდა, წარმატებით დაესხნენ თავს ოსტენდესა და დიუნკერკის დოკებს. ინგლისის 8 ბომბდამშენი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ ბრინდიზის

ლონდონი, 9 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალთა შტაბის მიერ გამოქვეყნებული კომუნიკეს თანახმად, 7 ნოემბერს, ღამით, ინგლისის ბომბდამშენთა დიდმა შენაერთმა იერიში მიიტანა სამხედრო ობიექტებზე ბრინდიზიში (იტალია). ბომბები საავიაციო ქარხანას მოხვდა, სადაც ბევრგან ხანძარი გაჩნდა; ბომბები მოხვდა აგრეთვე დამხარისხებელ სადგურს. ინგლისის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

გერმანიის ავიაციის მოქმედება

ლონდონი. ავიაციის სამინისტროს ცნობით, გუშინ დაბინდების შემდეგ და შუაღამისას მტრის თვითმფრინავების მცირე რაოდენობა თავს დაესხა ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთის სანაპიროს. განთიადზე მტრის ერთმა თვითმფრინავმა ჩამოყარა ბომბები ჩრდილო-აღმოსავლეთის სანაპიროს ერთ პუნქტში, მეორემ კი აღმოსავლეთ ნაპირზე. დაბომბვის შედეგად მიყენებული ზარალი ყველა პუნქტში მცირე იყო. არის მცირეოდენი მსხვერპლი. ჩამოგდებულ იქნა გერმანიის ერთი თვითმფრინავი.

უცხოეთის პრესის გამოხმაურება თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო

თურქეთში

სტამბოლი, 9 ნოემბერი (საკდესი). თურქეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ამხანაგ სტალინის მოხსენებას და მრავალ სტატიას უძღვნის მას. გაზეთებმა „ვაკიტმა" და „რეპუბლიკმა" მოხსენება მთლიანად მოათავსეს. ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა აგრეთვე ამხანაგ სტალინის მიერ მოსკოვში 7 ნოემბერს პარადზე წარმოთქმული სიტყვა.

გაზეთი „ჟურნალ დ'ორიანი" სწერს, რომ „სტალინის—ამ „რკინის კაცის" სიტყვა ნათელია და მხნეობით არის გამსჭვალული".

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის პერსპექტივების შეფასების ერთერთ გადამწყვეტ მომენტად ავტორს ის ფაქტი მიაჩნია, რომ გერმანიამ ვერ შესძლო სსრ კავშირის იზოლირება, მის ცდას კი, პირიქით, შედეგად მოჰყვა სსრ კავშირის მჭიდროდ დაკავშირება ორ უდიდეს დემოკრატიულ ქვეყანასთან—ინგლისთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ორივე მხრის ზარალის ციფრები, რომლებიც მოყვანილია სტალინის მოხსენებაში, სწორია.

სტალინის მოხსენება,—სწერს გაზეთი „ტანი",—ცხადჰყოფს, რომ საბჭოთა ხალხს მტკიცედ სწამს მტერზე საბოლოო გამარჯვება. ამავე გაზეთმა დაბეჭდა ზექერია სერტელის სტატია, რომელიც ამხანაგ სტალინის მოხსენებას მიეძღვნა. ავტორი სწერს: „გერმანიის შეტევა, რომელსაც ჰიტლერმა 3 ოქტომბერს ისტორიაში უბადლო შეტევა უწოდა, მიზნად ისახავდა მოსკოვისა და ლენინგრადის დაპყრობას, 7 ნოემბერს მოსკოვში წითელ მოედანზე უნდა გამართულიყო გერმანიის არმიის გამარჯვების პარადი. გერმანიის პროპაგანდამ პირდაპირ განაცხადა, რომ მოსკოვი 7 ნოემბერს იქნება დაკავებული და ამ დღესასწაულს სსრ კავშირს ჩაავამწარებთო. მაგრამ წითელი არმია 7 ნოემბერს მოსკოვის მისადგომებს იცავდა და ტრადიციულ პარადში იღებდა მონაწილეობას. ამასთან დაკავშირებით, სტალინის სიტყვას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება".

შვეციაში

სტოკჰოლმი, 9 ნოემბერი (საკდესი). შვეციის გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნეს ამხანაგ სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე. გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი" სწერს: „სტალინის სიტყვა რუსული მამაცობით იყო გამსჭვალული". გაზეთი აღნიშნავს სიმტკიცესა და სიმამაცეს გერმანიის რიცხვობრივად ჭარბი მექანიზებული არმიების წინააღმდეგ ბრძოლაში.

„სტალინის სიტყვა,—სწერს გაზეთი „გეტებორგს ჰანდელსტიდნინგი", — გამოხატავს ბრძოლის ნებისყოფას, და ისე გაისმა როგორც 1812 წლის გამოძახილი".

გაზეთ „ნიუს დაგლიგტ ალეჰანდის" ლონდონელი კორესპონდენტი აცხადებს: „მთელს დიდ ბრიტანეთში სტალინის სიტყვა გულთბილად იქნა მიღებული და მაღალი შეფასება მიიღო".

ცნობებს მოსკოვში 7 ნოემბერს გამართულ წითელი არმიის ჯარების პარადის შესახებ გაზეთები ათავსებენ მსხვილასოებიანი სათაურებით, რომლებშიაც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ტრადიციული პარადი ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის აღსანიშნავად ჩატარებულ იქნა, მიუხედავად გერმანიის ავიაციის მხრივ თავდასხმის ცდებისა.

ურუგვაიში

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო მონტევიდეოდან იუწყება, რომ მთელმა ურუგვაის პრესამ პირველ გვერდზე გამოაქვეყნა სტალინის მოხსენება.

მონტევიდეოში შესდგა მასობრივი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავს. მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ესპანეთის რესპუბლიკური არმიის ყოფილმა პოლკოვნიკმა ფრანცისკო გალანმა.

კოლუმბიაში

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო ბოგოტიდან იუწყება, რომ კოლუმბიის გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას მოათავსეს სტალინის მოხსენება. გაზეთი „ელ ლიბერალი" კომენტარს უკეთებს მოხსენებას და ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის განსაკუთრებით მედგარ წინააღმდეგობას გერმანიის შეიარაღებული ძალებისადმი.

გერმანიაში

ჟენევა, 9 ნოემბერი (საკდესი). როგორც აქ შეიტყეს, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხანაგ სტალინის მიერ მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე გაკეთებულმა მოხსენებამ თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიაში. მოხსენების შინაარსს გულმოდგინედ უმალავენ მოსახლეობას, მაგრამ მოხსენება დიპლომატიური, პოლიტიკური და ჟურნალისტური წრეების ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

აქ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ უკანასკნელ დღეებში, განსაკუთრებით ამხანაგ სტალინის მოხსენების შემდეგ, გერმანული გაზეთები სავსეა სტატიებით „აღმოსავლეთში ომის სიძნელეებზე", „თოვასა და ღვართქაფზე მოსკოვის მისადგომებთან" და სხვ. გერმანული პრესა უაღრეს შეშფოთებას იჩენს ევროპის კონტინენტზე მეორე ფრონტის შექმნის შესაძლებლობის საკითხთან დაკავშირებით.

ჰიტლერელებმა მობილიზაცია უყვეს რადიოს, რომლითაც გებელსის მოწაფენი, სთარგმნიან რა ამხანაგ სტალინის მოხსენების შინაარსს, ცდილობენ შეეკამათონ მას. გერმანული რადიო დღეს იძულებული იყო განეცხადებინა, რომ გერმანია ვითომ არც კი ვარაუდობდა ელვისებურად ჩაეტარებინა კამპანია აღმოსავლეთში, და რომ „ფიურერი" ყოველთვის აღნიშნავდა იმ სიძნელეებს, რომლებსაც გერმანიის არმია აღმოსავლეთში შეხვდებოდაო".

ჰიტლერელთა მმართველი წრეების შეშფოთებაზე შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ, კერძოდ დასაბეჭდად გამზადებული „თითონ" გებელსის ამონაწერების მიხედვით, რომლებიც სტალინის მოხსენების შემდეგ გამოქვეყნდა გერმანულ ბიულეტენ „დინსტ აუს დოიჩლანდში". გებელსი სწერს: „ჩვენთვის, მებრძოლთათვის, თავის არიდების არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს. ჩვენ უკვე არ შეგვიძლია საქმე სხვაგვარად გადავდოთ. ჩვენ უნდა მოვახდინოთ არჩევანი—ან სიცოცხლე ან ქაოსში დაღუპვა".

გამარჯვების რელაციებიდან აღმოსავლეთში ბრძოლის სიძნელეთა აღნიშვნაზე გერმანული პრესისა და რადიოს გადასვლა გერმანელ მოსახლეობას მთავრობის ხელმძღვანელ წრეებში და პროპაგანდის ორგანოებში გამეფებული დაბნეულობის ნიშნად მიაჩნია.

ამხანაგ სტალინის მოხსენების მეორე დღეს ბერლინში სასწრაფოდ მოიწვიეს უცხოელ კორესპონდენტთა პრეს-კონფერენცია. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, საკმაოდ ცნობილი შმიდტი ამხანაგ სტალინის მოხსენების გამო განცხადებით გამოვიდა, რომელმაც დამსწრე ჟურნალისტებზე ფსიქიურად ავადმყოფი ადამიანის ბოდვის შთაბეჭდილება მოახდინა. მთელი ეს განცხადება აბნეული და ისტერიული ლანძღვა-გინების გროვას წარმოადგენდა. უცხოელმა კორესპონდენტებმა შმიდტის განცხადების ტონიდან და შინაარსიდან ის დასკვნა გამოიტანეს, რომ გერმანელი ნაცისტების საქმე მეტად ცუდად არის.

უცხოეთის პრესა მოსკოვის 7 ნოემბრის პარადის შესახებ

ლონდონი, 10 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის პრესამ თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდა ცნობა მოსკოვში წითელ მოედანზე გამართული პარადისა და ამხანაგ სტალინის სიტყვის შესახებ. ბევრი გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს პარადი საბჭოთა ადამიანების მამაცობისა და გულადობის მკაფიო მაგალითია. „დეილი მეილი" სწერს: „სტალინმა სახელოვან წითელ მოედანზე მოაწყო მამაცობისა და სიმტკიცის ერთერთი ყველაზე ბრწყინვალე დემონსტრაცია, რომელიც კი მომხდარა ომის მთელი ხნის განმავლობაში".

გაზეთი „ნიუს ქრონიკლი" აცხადებს: მაშინ, როდესაც სტალინი სიტყვას ამბობდა წითელ მოედანზე, საბჭოთა მფრინავები თავს დასტრიალებდნენ დედაქალაქს და იცავდნენ გერმანიის ავიაციისაგან. მოსკოვში ჩვეულებრივი, ტრადიციული პარადის მოწყობა იმ მომენტში, როცა ქალაქის მისადგომებზე ცხარე ბრძოლებია, წარმოადგენს მამაცობისა და გულადობის შესანიშნავ მაგალითს.

ნიუ-იორკი, 10 ნოემბერი (საკდესი). ამერიკის სააგენტოებმა გამოაქვეყნეს 7 ნოემბერს მოსკოვში წითელ მოედანზე გამართულ პარადზე სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვის შინაარსი. ყველა საღამოს და დილის გაზეთმა სიტყვა გამოაქვეყნეს დიდი სათაურებით. გაზეთები—„ნიუ უორლდ ტელეგრამი", „სენი", „ნიუ-იორკ პოსტი" სათაურებში აღნიშნავენ ამხანაგ სტალინის სიტყვაში გამოთქმულ მტკიცე რწმენას, რომ ნაცისტების კრახი გარდუვალია.

ვიშის მთავრობის სავაჭრო ნაოსნობა გერმანელ დამპყრობთა სამსახურში

ლონდონი, 10 ნოემბერი (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ გამოაცხადეს ინგლისელების მიერ ვიშის მთავრობის კუთვნილი გემების ქარავნის გატაცება, საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლონდონის ფრანგთა წრეების ცნობით, მარსელში ჩასული ყველა ტვირთის 70-80 პროცენტი განკუთვნილია გერმანიისათვის. დოკერები და რკინიგზელები უარს ამბობდნენ დაეცალათ გემები იმიტომ, რომ ამ გემებით მიტანილი საქონელი გერმანიაში იგზავნებოდა. მუშათა შორის ხდებოდა მღელვარება და გაფიცვებიც კი. ამიტომ საფრანგეთის ხელისუფალნი იძულებული გახდნენ სიყალბისათვის მიემართნათ— მათ შესცვალეს იარლიყები, რომლებზედაც აღნიშნულია ტვირთის დანიშნულების ადგილი. ამჟამად გერმანიის ქალაქების ნაცვლად ამ იარლიყებზე აღნიშნულია „პარიზი", „ტური" და საფრანგეთის სხვა ქალაქები.

ჯგუფური კონსულტაცია

12 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის სანიტარული თავდაცვის დარბაზში (ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი) აგიტატორებისათვის შესდგება ამხ. **ჩხოლარიას** ჯგუფური კონსულტაცია ქართულ ენაზე. თემა: **„როგორ მოვაწყოთ პირველი საქიმო დახმარება"**.

თეატრებში

საოპერა — 12 ნოემბერს — „რიგოლეტო", 13 ნოემბერს — „ხევისბერი გოჩა", 14 ნოემბერს — „ხამსონ და დალილა". **რუსთაველის სახელობის** — 12 ნოემბერს — „კოკვიძე", 13 ნოემბერს— „პროფესორი მამლოკი", 14 ნოემბერს—„კოკვიძე", 16 ნოემბერს **დღის წარმოდგენა**— „კოკვიძე" (დასაწყისი დღის 12 ს.). **მარჯანიშვილის სახელობის** — 12 ნოემბერს —„მაცრი ქალიშვილები", 13 ნოემბერს — „ცხვრის წყარო", 14 ნოემბერს — „ხედნიერება", 16 ნოემბერს **დღის წარმოდგენა**— „ურიელ აკოსტა" (დასაწყისი დღის 12 ს.). **სანკულტურის ქართული თეატრი**—13 ნოემბერს—„აჯილდა", 15 ნოემბერს —„ხტუმარ-მასპინძლობა", 16 ნოემბერს—„გაგრძელება იქნება". **მუსიკალური კომედიის თეატრი**—12 ნოემბერს—„ცისფერი კლდეები". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—12 ნოემბერს — „ცისფერი ხალიჩა" (მე-2 აბ.), 13 ნოემბერს—„ცისფერი ხალიჩა" (მე-3 აბ.), 14 ნოემბერს — „ცისფერი ხალიჩა" (მე-5 აბ.). **გრიბოედოვის სახელობის** — 12 ნოემბერს—„დედინაცვალი", 13 და 14 ნოემბერს—„დიდი მოურავი".

თბილისის სახცირკი

ყოველდღე საცირკო სანახაობა. მხატვრული პროგრამა. ფრანგული ჭიდაობის მატჩები. 12 ნოემბერს ჭიდაობენ: გოლიათი **იხმან აბდურახმანოვი — შევჩენკო, პლიახულია — ტიურინი, დენისოვი—შევიაკოვი.**

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ.—„კარმელიუკი", **ოქტომბერი** — „ცირკი", **ლუქსემბურგის სახ.** — „ფრონტელი მეგობარი ქალები", **სპარტაკი**— „დავეიანებული სასიძო", **26 კომ. სახ.**—„გულადი ნაზარა", **კომინტერნი**—კინოკონცერტები: I. „შავ მთებში", II. „ფორპოსტი", III. „სადარაჯო ჭოხში", **მეცნიერება და ცოდნა** —„ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

„თბილვაჭრობის" დირექცია იუწყება
მაქსიმე (ბუხუტი) გიორგის-ძე ცინცაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12/XI 6½ ს. ზოოტექნიკური, 16 ა. (ვაკე), გამოსვენება 13/XI 5½ ს. ვაკის სასაფლაოზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი იუწყება ამავე ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტ
გუგული (გიორგი) დავითის-ძე ყარანაშვილის
გარდაცვალებას. 12515

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26; პ/მგ რედაქტორის მოადგილისა—3-63-03; პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67; პ/მგ მდივნის მოადგილისა—3-06-88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის—3-81-84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის—3-80-84; სამხედროსი—3-57-61; წერილების—3-73-24; პ/მგ მორიგისა და გამომშვების—3-81-65; გამომცემლობის—3-51-81; სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ეე 41434